ოქტომბერი, 2023

# ყოველთვიური ეკონომიკური მიმოხილვა*

## თვის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები

- სექტემბერში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5.1% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.
- ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების  წლიური ინფლაცია მიზნობრივი ინფლაციის 3%-იან მაჩვენებელზე ნაკლები იყო და 0.8% შეადგინა, რაც ძირითადად განპირობებულია ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს და საცხოვრებლის ჯგუფებზე ფასების ზრდით.
- სექტემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 8.4%-ით, ხოლო ხარჯები 14.0%-ით გაიზარდა.
- სექტემბერში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 47.7 მლრდ ლარი შეადგინა, მათგან ყველაზე მეტი გაცემულია ვაჭრობის, მშენებლობისა და მრეწველობის დარგებში.
- იანვარ-სექტემბერში* ექსპორტმა 12.7%-ით, ხოლო იმპორტმა 18.2%-ით მოიმატა და სავაჭრო ბრუნვამ 15,911 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
- სექტემბერში* ფულადმა გზავნილებმა 283.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 39.0%) და რუსეთი (20.9%) წარმოადგენდნენ.
- ოქტომბერში მთლიანი საერთაშორისო რეზერვები 5,119 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 16.7%-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით.
- სექტემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, მცირედით გაიზარდა დეპოზიტებსა და სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი.
- ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებით 1.7%-ით, ხოლო ევროს მიმართ 0.4%-ით გაუფასურდა.

მაკროეკონომიკური ანალიზისა და საგადასახადო პოლიტიკის განყოფილება

ელ-ფოსტა: pbo@parliament.ge

*სტატისტიკური ინფორმაციის  გამოქვეყნების კალენდრის მიხედვით ზოგიერთი მონაცემი წარმოადგენს წინა თვის ცვლადს

# 1. რეალური და ფისკალური სექტორი




**სექტემბერში* დადებითი ეკონომიკური ზრდა 5.1%-ის ნიშნულზე დაფიქსირდა.**

წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2023 წლის სექტემბერში*, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 5.1% შეადგინა.

პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის შეფასებით, 2023 წლის სექტემბერში, წინა თვესთან შედარებით, რეალური მშპ-ის ზრდის ანუალიზებულმა ტემპმა[1] 1.3% შეადგინა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეების განმავლობაში პანდემიამდელ, 2019 წელთან შედარებით ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები აღინიშნება.







**ოქტომბერში სამომხმარებლო ფასების წლიური ინფლაცია 0.8%-ს შეადგენს.**

წინა წლის ოქტომბერთან მიმართებით, 2023 წლის ოქტომბერში ინფლაციის დონე 0.8%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელზე ნაკლები. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების დინამიკამ ალკოჰოლურ სასმელებსა და თამბაქოზე, საცხოვრებელზე, ტრანსპორტზე, განათლებაზე, სასტუმროებზე, კაფეებსა და რესტორნებზე. ოქტომბერში საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 2.1%-ით განისაზღვრა. 2023 წლის სექტემბერში მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 0.6% შეადგინა.




[1] წინა თვესთან შედარებით ანუალიზებული რეალური მშპ-ის ზრდის ტემპი რეალური მშპ-ის მონაცემების საფუძველზე სეზონურობისა და შემთხვევითი რყევების ამორიცხვით დგინდება და წარმოადგენს შესწორებული ტრენდის გაწლიურებულ მაჩვენებელს.

**ნაერთი ბიუჯეტის მთლიანი სალდო**
(მლნ ლარი)




**სექტემბერში* ნაერთი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.**
2023 წლის სექტემბერში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 8.4%-ით, ხოლო ხარჯები 14.0%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 325.1 მლნ ლარით, ხოლო უარყოფითი მთლიანი სალდო (ბიუჯეტის დეფიციტი) 233.8 მლნ ლარით განისაზღვრა.

**შემოსავლები და ხარჯები**
(მლნ ლარი)




**ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხები**
(მლნ ლარი)




**სექტემბერში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.**
წინა წლის სექტემბერთან მიმართებით, 2023 წლის სექტემბერში* კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა 12.4%-ით მოიმატა და 47.7 მლრდ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 13.9%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები 10.6%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ნახევარზე მეტი (54.2%) შინამეურნეობებზე მოდის.

რაც შეეხება გაცემულ სესხებს საქმიანობის სახეების მიხედვით, ყველაზე მეტი - 20.9% გაცემულია ვაჭრობის დარგში, 20.0% - მშენებლობის, 18.1% - მრეწველობის, 13.3% - უძრავი ქონების ოპერაციების, 7.3% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.

**სესხები საქმიანობის სახეების მიხედვით**
(ნაკადები)



## 2. საგარეო სექტორის ინდიკატორები




**იანვარ-სექტემბერში*, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, გაიზარდა როგორც საქონლის ექსპორტი, ასევე იმპორტი.**

კერძოდ, ექსპორტმა 12.7%-ით, ხოლო იმპორტმა 18.2%-ით მოიმატა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 16.5%-ით გაიზარდა და 15,911 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 29.0%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა: ყირგიზეთში (897%, მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტის მატების გამო), ყაზახეთში (230%), სომხეთში (64%), აზერბაიჯანში (30%) და სხვა.

საექსპორტო საქონლის მიხედვით განსაკუთრებული ზრდა დაფიქსირდა მსუბუქი ავტომობილების (164%), დაგაზიანებული შაქრის დანამატებით წყლების (41%), სპირტიანი სასმელების (37%), მინერალური წყლის (28%), ელექტროენერგიის (23%), ნატურალური ღვინის (12%) ჯგუფებში. შემცირდა ფეროშენადნობების (68%), სპილენძის მადნების (42%), აზოტოვანი სასუქების (41%) ექსპორტი.







**სექტემბერში* ფულადი გზავნილები შემცირდა.**

წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, 2023 წლის სექტემბერში* საქართველოში ფულადი გზავნილები 26.7%-ით შემცირდა და 283.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (გზავნილების მთლიანი ოდენობის 39.0%) და რუსეთი (20.9%) წარმოადგენენ. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გზავნილების მოცულობამ მნიშვნელოვნად მოიმატა: ერაყიდან (472.1%-ით), უნგრეთიდან (388.6%-ით), იორდანიიდან (358.1%-ით), ირლანდიიდან (90.5%-ით), ყაზახეთიდან (80.6%-ით), აშშ-დან (43.8%-ით), გერმანიიდან (32.8%-ით), კანადიდან (21.5%-ით) და სხვა. ამავე პერიოდში ფულადი გზავნილების ჩარიცხვა შემცირდა: სომხეთიდან (84.6%-ით), ყირგიზეთიდან (76.1%-ით), რუსეთიდან (65.8%-ით).



**ოქტომბერში საერთაშორისო რეზერვებმა 5,119 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.**

2023 წლის ოქტომბერში საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 5,119 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2022 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 16.7%-ით მეტი, წინა თვესთან მიმართებით კი 2.9%-ით ნაკლებია.

2023 წლის ოქტომბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე 84.9 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.



# 3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

**სექტემბერში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სარეზერვო ფულის მასა ზრდის ტენდენციით ხასიათდება.**

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2023 წლის სექტემბერში* სარეზერვო ფულის მასა 4.3%-ით გაიზარდა. ფულის M2 აგრეგატმა 34.2%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 15.7%-ს გაუტოლდა. ოქტომბერში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 0.8% შეადგინა.







**სექტემბერში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი როგორც დეპოზიტებზე, ასევე სესხებზე მცირედით გაიზარდა.**

სექტემბერში* დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.28%-ული პუნქტით გაიზარდა და 48.1%-ით განისაზღვრა. სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა კი უმნიშვნელოდ (0.06%-ული პუნქტით) მოიმატა და 44.8% შეადგინა. წინა თვესთან მიმართებით, სექტემბრის თვეში* ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 3.2%-ით, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 4.4%-ით გაიზარდა.






**სექტემბერში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 1.0%-ული პუნქტით, ხოლო სესხებზე 0.7%-ული პუნქტით შემცირდა.**

სექტემბერში* საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.0% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.9%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის) სექტემბრის* მდგომარეობით 5.1% შეადგინა, 0.08%-ული პუნქტით მეტი წინა წლის სექტემბერთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2023 წლის 25 ოქტომბრის გადაწყვეტილებით რეფინანსირების განაკვეთი უცვლელი (10.0%) დარჩა.

**ოქტომბერში, წინა თვესთან მიმართებით, ლარის კურსი როგორც აშშ დოლარის, ასევე ევროს მიმართ მცირედით გაუფასურების ტენდენციას ავლენს.**

ოქტომბერში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 1.7%-ით, ხოლო ევროს მიმართ 0.4%-ით გაუფასურდა, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 1.5%-ით გამყარდა. ამ პერიოდში გაუფასურდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსიც. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, ოქტომბერში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.5%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 3.9%-ით გაუფასურდა, თურქული ლირასთან მიმართებით კი 55.1%-ით გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო თვეებში მნიშვნელოვნად მოიმატა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ფულადი გზავნილების მოცულობამ, ასევე ტურიზმიდან და ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავლებმა, რამაც, წინა წელთან შედარებით, დადებითი გავლენა იქონია ლარის კურსის გამყარებაზე.



# 4. რეგიონული მიმოხილვა

**ოქტომბერში, რეგიონის ქვეყნებში, გარდა თურქეთისა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით ერთნაირი დინამიკით ხასიათდება.**
კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 61.4% შეადგინა. დაბალი იყო ინფლაციის დონე სომხეთში (0.1%). რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2023 წლის სექტემბრის* მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 5.1%-ით, ხოლო რუსეთში 6.0%-ით გაიზარდა.

**წლიური ინფლაცია, ოქტომბერი**




**გაცვლითი კურსის წლიური ცვლილება**
ოქტომბერი, 2023




**ოქტომბერში რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსების ნაწილი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარების, ხოლო ნაწილი გაუფასურების ტენდენციას ავლენს.**
კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ოქტომბერში აშშ დოლართან მიმართებით გამყარდა სომხური დრამი (0.2%-ით), ხოლო გაუფასურდა რუსული რუბლი (36.6%-ით), თურქული ლირა (33.2%-ით), აზერბაიჯანული მანათი (0.2%-ით).

**გამოყენებული მონაცემების წყარო:**

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
3. საქართველოს ეროვნული ბანკი
4. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

# ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

**ცხრილი N1.** ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები

| | | ოქტ 22 | ნოე 22 | დეკ 22 | იან 23 | თებ 23 | მარ 23 | აპრ 23 | მაი 23 | ივნ 23 | ივლ 23 | აგვ 23 | სექ 23 | ოქტ 23 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეალური სექტორი | მშპ-ს ზრდის ტემპი (%) | 8.3 | 9.3 | 11.0 | 8.4 | 5.8 | 7.3 | 7.5 | 7.0 | 7.7 | 5.5 | 5.8 | 5.1 | |
| | დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%) | 14.8 | 16.7 | 16.6 | 18.8 | 11.7 | 9.2 | 6.1 | 5.2 | 6.1 | 2.9 | 4.2 | 3.0 | |
| მონეტარული სექტორი | ინფლაცია (%) | 10.6 | 10.4 | 9.8 | 9.4 | 8.1 | 5.3 | 2.7 | 1.5 | 0.6 | 0.3 | 0.9 | 0.7 | 0.8 |
| | მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%) | 11.0 | 11.0 | 11.0 | 11.0 | 11.0 | 11.0 | 11.0 | 10.5 | 10.5 | 10.5 | 10.25 | 10.00 | 10.00 |
| | დეპოზიტების დოლარიზაცია (%) | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | |
| | სესხების დოლარიზაცია (%) | 0.4 | 0.4 | 0.4 | 0.4 | 0.4 | 0.4 | 0.4 | 0.4 | 0.5 | 0.5 | 0.4 | 0.4 | |
| საგარეო სექტორი | გაცვლითი კურსი (ლარი) | 2.8 | 2.7 | 2.7 | 2.7 | 2.6 | 2.6 | 2.5 | 2.5 | 2.6 | 2.6 | 2.6 | 2.6 | 2.7 |
| | გზავნილები (ათასი აშშ დოლარი) | 501,998.8 | 521,164.6 | 535,251.1 | 444,964.0 | 372,328.3 | 438,392.2 | 369,709.2 | 384,885.8 | 353,170.7 | 301,068.1 | 287,005.6 | 283,878.0 | |
| | ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი) | 448.7 | 490.7 | 555.8 | 459.0 | 455.8 | 546.7 | 500.5 | 541.4 | 550.4 | 529.8 | 495.8 | 528.0 | |
| | იმპორტი (მლნ აშშ დოლარი) | 1,203.9 | 1,310.9 | 1,469.3 | 1,114.9 | 1,067.5 | 1,378.1 | 1,222.9 | 1,328.2 | 1,338.5 | 1,319.7 | 1,292.3 | 1,241.4 | |
| | სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი) | -755.2 | -820.2 | -913.5 | -655.9 | -611.7 | -831.4 | -722.4 | -786.8 | -788.0 | -789.9 | -796.5 | -713.3 | |
| | საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი) | 4,385.6 | 4,636.7 | 4,900.6 | 4,899.3 | 4,720.2 | 5,003.8 | 5,133.4 | 5,005.3 | 5,066.7 | 5,436.1 | 5,436.8 | 5,273.2 | 5,118.8 |
| ფისკალური სექტორი | შემოსავლები (მლნ ლარი) | 1,688.4 | 1,898.4 | 2,151.6 | 1,858.0 | 1,555.1 | 1,656.6 | 2,165.0 | 1,755.9 | 1,877.8 | 1,846.9 | 1,721.5 | 1,821.2 | |
| | მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი) | 1,296.9 | 1,561.6 | 2,090.5 | 1,357.0 | 1,422.1 | 1,450.0 | 1,496.7 | 1,568.9 | 1,441.2 | 1,901.2 | 1,269.0 | 1,496.1 | |
| | კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი) | 148.0 | 600.3 | 1,054.5 | 185.9 | 313.1 | 317.4 | 414.1 | 400.6 | 495.8 | 365.4 | 659.1 | 616.0 | |

ზრდა  კლება  ცვლილება < 1%

**ცხრილი N2**[2]**.** ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

| | | ოქტ 22 | ნოე 22 | დეკ 22 | იანვ 23 | თებ 23 | მარ 23 | აპრ 23 | მაისი 23 | ივნ 23 | ივლ 23 | აგვ 23 | სექ 23 | ოქტ 23 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რეალური სექტორი** | მშპ-ს ზრდის ტემპი | | | | | | | | | | | | | |
| | დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი | | | | | | | | | | | | | |
| **მონეტარული სექტორი** | ინფლაცია | | | | | | | | | | | | | |
| | მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი | | | | | | | | | | | | | |
| | დეპოზიტების დოლარიზაცია | | | | | | | | | | | | | |
| | სესხების დოლარიზაცია | | | | | | | | | | | | | |
| **საგარეო სექტორი** | გაცვლითი კურსი | | | | | | | | | | | | | |
| | გზავნილები | | | | | | | | | | | | | |
| | ექსპორტი | | | | | | | | | | | | | |
| | იმპორტი | | | | | | | | | | | | | |
| | სავაჭრო ბალანსი | | | | | | | | | | | | | |
| | საერთაშორისო რეზერვები | | | | | | | | | | | | | |
| **ფისკალური სექტორი** | შემოსავლები | | | | | | | | | | | | | |
| | მიმდინარე ხარჯები | | | | | | | | | | | | | |
| | კაპიტალური ხარჯები | | | | | | | | | | | | | |

**ცხრილი N3.** ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან.

| | | ოქტ 22 | ნოე 22 | დეკ 22 | იანვ 23 | თებ 23 | მარ 23 | აპრ 23 | მაისი 23 | ივნ 23 | ივლ 23 | აგვ 23 | სექ 23 | ოქტ 23 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **რეალური სექტორი** | მშპ-ს ზრდის ტემპი | | | | | | | | | | | | | |
| | დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი | | | | | | | | | | | | | |
| **მონეტარული სექტორი** | ინფლაცია | | | | | | | | | | | | | |
| | მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი | | | | | | | | | | | | | |
| | დეპოზიტების დოლარიზაცია | | | | | | | | | | | | | |
| | სესხების დოლარიზაცია | | | | | | | | | | | | | |
| **საგარეო სექტორი** | გაცვლითი კურსი | | | | | | | | | | | | | |
| | გზავნილები | | | | | | | | | | | | | |
| | ექსპორტი | | | | | | | | | | | | | |
| | იმპორტი | | | | | | | | | | | | | |
| | სავაჭრო ბალანსი | | | | | | | | | | | | | |
| | საერთაშორისო რეზერვები | | | | | | | | | | | | | |
| **ფისკალური სექტორი** | შემოსავლები | | | | | | | | | | | | | |
| | მიმდინარე ხარჯები | | | | | | | | | | | | | |
| | კაპიტალური ხარჯები | | | | | | | | | | | | | |

[2] ცხრილ N2 და N3-ში წარმოდგენილი მონაცემები აღებულია ცხრილი N1-დან.